თანხმობა

მე, შპს „ნირვანა"-ს (ს/კ 401990075) დირექტორი ზანდა ჯალატოზიშვილი /დაბ. 07.04.1982 წელს, მის. თბილისი, დიღმის მას. V კვ, კორპ. 13, ბინა 9, პ№ 01019012148/ თანხმობას ვაცხადებ, შპს „ზე ფიორსტ ვან"-მა (ს/კ 400336891) - შპს „ნირვანა"-ს (ს/კ 401990075) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისი, გიორგი ტერეველაძის ქ. N 2 საკადასტრო კოდი: 01.13.01.018.289) გარე ფასადზე განათავსოს სარეკლამო აბრა/ბანერი/ლაითბოქსი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით

ხელმოწერა: _____

21.06.2022 წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220757485
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ძულიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2517800 599589966
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	86299578490722

დღეს, ორიათას ოცდაორი წლის ოცდაერთ ივნისს, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 7 ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ზანდა კალატოზიშვილმა, რომელმაც ითხოვა თანხმობის პროექტის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ზანდა კალატოზიშვილმა /დაბ. 07.04.1982 წელს, მის. თბილისი, დიღმის მას. V კვ, კორპ. 13, ბინა 9, პ# 01019012148/ მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ხელმომწერს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე თანხმობის შინაარსს და მასში მოყვანილი ფაქტების წამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წარმოდგენილ თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 6.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + თანხმობის პროექტის შედგენის 10.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 2.88 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 23.88 ლარი.

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18